პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მებრძოლი გუშაგი

„ჩეკისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და სუფთა ხელები"

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

БОЕВОЙ СТРАЖ — ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (2440). | ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 1968 წ. | ფასი 4 კაპ.

მთელმა ჩვენმა ხალხმა იზეიმა საბჭოთა კონსტიტუციის დღე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1968 წლის 9 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

„სსრ კავშირის 1969 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ" — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვი;

„სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ" — მომხსენებელი სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ამხ. ვ. თ. გარბუზოვი.

პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის შესახვედრად

თბილისი — ულიანოვსკი

ამ დღეებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი რესპუბლიკის შსს ორგანოებსა და დანაყოფებში საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ შენ!

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მუშაკები წარმატებით იბრძვიან ვლადიმერ ილიჩის ლენინის დაბადებიდან 100 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ს უ რ ა თ ზ ე (ზემოდან ქვემოთ): ი. ტიციევი — მილიციის ცხინვალის საქალაქო განყოფილების მილიციელი, კაპიტანი მ. ზაზარაშვილი — მილიციის წნაურის რაიგანყოფილების უფროსი, უმცროსი ლეიტენანტი ბ. მამედოვი — მილიციის რუსთავის საქალაქო განყოფილების უბნის რწმუნებული, კაპიტანი ი. სოტიევი — მილიციის ჯავის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, ა. ბუძიაშვილი — ცხინვალის პროფესიული სახანძრო ნაწილის მძღოლი, უფროსი სერჟანტი მ. მოსიკიანი — სოხუმის მილიციის რაიგანყოფილების მილიციელი, ლეიტენანტი შ. ჩაგანავა — მილიციის გაგრის რაიგანყოფილების უბნის რწმუნებული.

ფოტო მ. კიკილისისა

შინაგან საქმეთა სამინისტრო — საბჭოთა კანონიერების შემდგომი განმტკიცების მძლავრი იარაღი

მეტი პასუხისმგებლობით

ა. მეღლიძე,

გულით მივესალმები

ავტორიტეტის ამაღლება

თავდადებული შრომით შევხვდებით

მოვალეობის მაღალი შეგნებით

კომუნისტური უფლებების სადარაჯოზე

ლექციები, საუბრები...

წარმატებით შევხვდით

ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

ოპერატიული მუშაობა ყურადღების ცენტრში

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის დონის, დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის შემდგომი ამაღლებისათვის კიდევ უფრო გაზრდილი მოთხოვნები.

პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია მთელი თავისი საქმიანობით მიზანსწრაფულად წარმართოს, როგორც კომუნისტების, ისე მთელი აპარატის თითოეული მუშაკის საქმიანობა, ამასთან უნდა უზრუნველყოს კომუნისტების ავანგარდული როლი, მათი პირადი მაგალითი შრომასა თუ დისციპლინაში.

სწორედ ასე მიზანსწრაფულად მუშაობა საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამი- [illegible]

[illegible] ლების პარტიულ ორგანიზაციაში. აღინიშნა, რომ პარტიულმა ბიურომ და განყოფილების ხელმძღვანელობამ არაერთხელ განიხილა პარტიული კრების მსჯელობის საგნად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში განყოფილების კომუნისტების ამოცანები, რამაც გამოიწვია კომუნისტების ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, სამსახურებრივ-ოპერატიული საქმიანობის გაუმჯობესება.

გატარებული ღონისძიებების შედეგად 1968 წლის 9 თვეში სისხლის სამართლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა, გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. [illegible]

[illegible] ლებზე მომხდარ საშიშ დანაშაულობათა გახსნაში. ამ მხრივ საანგარიშო პერიოდში კარგად იმუშავეს კომუნისტებმა: ლ. გაბუნიამ, ნ. კალანტაროვმა, ა. ტატიშვილმა, ნ. პერკინმა, ქ. გაგუამ, [illegible], ნ. რამაზაშვილმა, ა. მენიძემ და სხვ.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სისხლის სამართლის სამძებრო აპარატის ზონალური მუშაკების მიერ ჯერ კიდევ არასაკმარისი ყურადღება ექცევა ზონის რაიგანყოფილებაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ორგანიზაციას, ადგილი აქვს ამ ორგანოებში კოლექტივების ოპერატიულ შესაძლებლობათა შეუფასებლობას.

საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში კომუნისტებმა ლ. გაბუნიამ, ნ. რამაზაშვილმა, ზ. მაჩაიძემ, ა. ტატიშვილმა და გ. კოგანმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში [illegible]

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით

[illegible]

დიდი გულისყური სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვას

[illegible]

კრებამ გაითვალისწინა პარტიულ ბიუროში ახლად არჩეული კომუნისტების [illegible] შენიშვნები და იმედი გამოთქვა, რომ არასაუწყებო დაცვის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანები ღირსეულად გადაიჭრება.

მ. კაკალიძე,
„მებრძოლი"-ს საზ. კორ.

საბჭოთა ადამიანს აქვს შრომის კონსტიტუციური უფლება

ამ სურათებზე ასახულია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების თავდადებული შრომა. სურათებზე: 1. ქ. თბილისის ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მილიციელი გ. მელაძე მოახსენებს ოცეულის მეთაურს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ლ. შმიგელსკის საგუშაგო სამსახურის შესრულების შესახებ. „კულტურა, გულისხმიერება, თავაზიანობა" — მილიციის მუშაკთა განუყრელი საქმეა. 2. მილიციის ზემდეგი დ. ბაწოვა მოხუც ქალს ეხმარება ქუჩაზე გადასვლაში. 3. მეხანძრეები ვარჯიშობენ სახანძრო კიბეზე ასვლაში. 4. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო რაზმელები გ. საათაშვილი, გ. მეხსიშვილი, ა. ამელიდიანი, ა. ბელქაია, გ. ბუბუნავა და სხვები დიდი ენთუზიაზმით ეხმარებიან მილიციის მუშაკებს დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონში მართლწესრიგის დაცვის საქმეში. ქ. თბილისის მილიციის სკოლის კურსდამთავრებული, მილიციის ორჯონიკიძის რაიგანყოფილების სამსახურის ინსპექტორი ტ. გოგოლაძე სახალხო რაზმელის შტაბის წევრებთან ერთად სახავს მორიგეობის გეგმას.

საბჭოთა სასამართლოს 51 წლისთავის შესახვედრად

საბჭოთა მართლმსაჯულების ლენინური პრინციპების გზით

საბჭოთა სასამართლო სისტემამ თავისი ისტორია დაიწყო ისტორიული № 1 დეკრეტით სასამართლოს შესახებ, რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის პირადი მონაწილეობით და მიღებული იქნა 1917 წ. 22 ნოემბერს (5 დეკემბერს).

[illegible]

მილიციის ოპერატიული პოლკის [illegible]

ნაშრომი კინოსტუდიიდან [illegible]

[illegible] გზიდან ერთი ქალი გადმოვიდა. [illegible] დარჩენოდა. [illegible] რომელსაც იქვე ლოდინე მართავდა და შეატყობინა მას ჩემი მისამართი. ამ დღეებში მივიღე ლოლაძისაგან გამოგზავნილი პალტო".

✦

ხიფათისგან

21 ნოემბერს მოსკოვ-ერევნის მატარებლით ხაშურიდან თბილისში მოდიოდა მილიციის ოპერატიული პოლკის მეორე დივიზიონის მილიციელი ილია [illegible] ბლიაძე. როდესაც მატარებელი თბილისის სადგურზე ჩამოდგა და ყველა მგზავრი გადმოვიდა, ბლიაძემ შენიშნა, რომ ერთ-ერთ კუპეში რომელიღაც მგზავრს ხელჩანთა დარჩენოდა. მილიციელმა უყოყმანოდ მოძებნა ჩანთის პატრონი, მაგრამ [illegible]

მხოლოდ ფაქტები

[illegible]

● 25 აგვისტოს ახალთუშნის ქუჩაზე დააკავეს ადრე ნასამართლევი დ. მელქიშვილი, რომელმაც № 1 მაღაზიიდან 28 მეტრი ნაჭერი მოიპარა. ნაჭრის ღირებულებაა 87 მანეთი, ქურდი პასუხისგებაშია მიცემული.

● ოჩამჩირელმა ი. ქუთელიამ სიმთვრალის დროს სადგურ ოჩამჩირეში ხულიგნური და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ი. პაპასკირს. დამნაშავე დააკავეს მილიციის ხოფშის სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა.

● [illegible]

მეხანძრეთა ფორუმი

ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა I რესპუბლიკური ყრილობის შესახვედრად

საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და სარაიონო საბჭოების არჩევნების ვადის გასვლის გამო, რესპუბლიკის პირველად ორგანიზაციებში მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების კონფერენციები, სადაც აირჩიეს ნსს პირველადი ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარეები, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, სარევიზიო კომისიები და საზოგადოების პირველი ყრილობის დელეგატები.

ახორციელებდა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მითითებებს, ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და მისმა აღმასრულებელმა ორგანოებმა გაატარეს ქმედითი ღონისძიებანი. ახლად დაკომპლექტებულია საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისია, ხანგრძლივად ტარდება პრეზიდიუმის სხდომები, უფრო ქმედითი გახდა აღმასრულებელი ორგანოების, ინსპექტორების, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების სარევიზიო კომისიების მუშაობა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანია შეინიშნება როგორც აგიტმასობრივი და პროფილაქტიკური, ისე საწარმოო-სატექნიკო მუშაობის, შრომის, კულტურისა და დისციპლინის საქმეში, საწარმოო კომბინატში ახალი პროდუქციის ათვისების, სამუშაოთა მექანიზაცია-ავტომატიზაციისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მხრივ. რესპუბლიკაში გაზრდილია ხანძრიანობა, საჭიროა მეტი ძალებისა და ენერგიის მობილიზაცია და მოსახლეობაში მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ჩვენი საქმიანობის მაღალ საფეხურზე აყვანას.

ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებისათვის დიდი აქტიურად იბრძვიან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები.

ჩამოყალიბებულია და ხანძარსაწინააღმდეგო მუშაობას ეწევა 6800-ზე მეტი ნსს პირველადი ორგანიზაცია, რომელშიდაც გაერთიანებულია 888 ათასი მოქალაქე. ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში ნსს წევრთაგან ჩამოყალიბებულია 4 ათასი მოხალისეთა სახანძრო რაზმეული, სადაც 60 ათასი კაცია გაერთიანებული. რესპუბლიკის სკოლების ნსს პირველადი ორგანიზაციები 1822 ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებს ხელმძღვანელობენ.

შემუშავებულია 1967 წელს გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსის შედეგები: „საწარმოებში სახანძრო შედეგების საუკეთესოდ დაყენების" შედეგის საუკეთესოდ მიჩნევის, რომელშიაც გამარჯვებული გამოვიდნენ მახარაძის ჩაის № 2, თბილისის ფეხსაცმელების № 1 და ქუთაისის მაუდის ფაბრიკები, ზუგდიდის „ინგურქაღალდკომბინატი", ხოლო ნორჩ ნსს შორის კარგი შედეგები უჩვენეს ქ. თბილისის 88-ე, ქუთაისის მესამე, გორის რაიონის სოფელ შინდისის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლების და სხვა საშუალო სკოლების ნორჩმა მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებმა. კონკურსში გამარჯვებულებს ნიშნები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

აფხაზეთისა და აჭარის ნსს რესპუბლიკურ საბჭოებს საკურორტო ქალაქებსა და რაიონებში დიდი მუშაობა აქვთ გაშლილი, ასანთ პროფილაქტიკის გზით სახანძრო ნაწილებთან ერთად, ფართოდ იყენებენ ხმამაღლა მოლაპარაკე ავტომობილებს, ქალაქის ქუჩებში გამოკრულია მხატვრულად გაფორმებული ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატები და ლოზუნგები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების მუშაობა, რომლებიც სისტემატურად, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობისა და საწარმოო-სატექნიკო ჯგუფებს.

კარგად მუშაობენ და საწარმოო ჯგუფის შეჯიბრებაში წარმატებას აღწევენ ქიათურის, გორის რაიონის, წყალტუბოს, ქარელის, ხაშურის, სამტრედიის, საგარეჯოს, ლანჩხუთის და სხვა რაიონების ნსს საბჭოები.

რესპუბლიკის ნსს რიგმა საბჭოებმა, როგორიცაა რუსთავის, ზესტაფონის, დმანისის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ოზურგეთის, ხაშურის, ბოგდანოვკის, მესტიის და სხვა, ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს საზოგადოების საქმიანობა, ვერ ასრულებენ საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და საწარმოო-სატექნიკო ჯგუფებს, ხოლო გარდაბნის ნსს რაისაბჭომ, თუმცა კი შეასრულა 9 თვის საწარმოო-სატექნიკო ჯგუფი, მაგრამ დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

ნსს წესდების შესაბამისად რესპუბლიკის რაიონული, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით 28 საბჭოთა მეურნეობაში, მსხვილ დასახლებულ პუნქტსა და დაბაში, როგორიცაა კოჯორი, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, გორის რაიონის სოფელ კარალეთის საბჭოთა მეურნეობა, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის საბჭოთა მეურნეობა, ვაშლოვანის დასახლება და სხვა ადგილებში, რესპუბლიკის ნსს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულები, აქ მოიპოვება ეწევიან მოხალისეებისაგან შემდგარი სახანძრო რაზმეულების წევრები, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ სოფელ ადგილებში მომხდარი ხანძრების ჩაქრობაში, ხოლო კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს საშუალო სკოლის ნორჩ მოხალისეთა რაზმეულების წევრებმა 1967 წლის 15 ოქტომბერს საშუალო სკოლის შენობა დაწვას გადაარჩინეს.

საბრძოლო მომზადება კარგად აქვთ დაყენებული და მოწინავეთა რიგებში არიან გუმათესის, ქუთაისის, სუფსის, კაჭრეთის, მაღაროსა და სხვა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულები.

მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, ზოგიერთი ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის უფროსებმა ვერ უზრუნველყვეს მუშაობის გარდაქმნა, სუსტია მათი ბრძოლისუნარიანობა, სახანძრო ტექნიკა მოითხოვს შეკეთებას.

ნსს კომბინატი ერთადერთი საწარმოა რესპუბლიკაში, რომელიც უშვებს სხვადასხვა სახის პირველად ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარს, აწარმოებს პლაკატებისა და სხვა სამუშაოების დამზადებას და შეკეთებას. მაგალითად, 1968 წლიდან აქ დამზადებულია 28 ათასი ცეცხლსაქრობი და 101 ათასი [illegible] 990 ათასი კომპლექტი ცეცხლსაქრობის მუხტი, 80 ათასი ვედრო, 8 ათასი ხელის ტუმბო და გაგზავნა საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონის საბჭოების რეალიზაციისათვის.

კომბინატის სამხატვრო საამქროს მიერ სხვადასხვა თემებზე გამოშვებულია 5 ათასი ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატი, 8 ათასი სახანძრო ინვენტარის დიდი და პატარა სტენდი. კომბინატმა ათვისა ცეცხლსაქრობის ოჩ-5 მუხტის სამუშაოსათვის მრავალჯერ მოქმედი პოლიეთილენის, მინისა და საჩქარის გამოშვება, რითაც გამარტივდა წარმოება, დაიზოგა დიდი რაოდენობის მინა და ლითონი, გამოშვებული პროდუქცია კი გაცილებით იაფი ღირს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ, აღფრთოვანებს საზოგადოების მრავალათასიან კოლექტივს, მოსახლეობაში ხანძარსაწინააღმდეგო აგიტ-მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარების, საწარმოო-ფინანსური გეგმის წარმატებით შესრულებისა და რესპუბლიკაში ხანძრების მკვეთრად შემცირებისათვის ბრძოლაში.

ბ. მგალაძე,
საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ავამაღლოთ მუშაობის პროფესიული დონე

საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებას მილიციის როლის შემდგომი განმტკიცებისა და სოციალისტური საზოგადოების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ. მართლწესრიგისა და კანონიერების დამყარებაში, დანაშაულობრივი ხელყოფისაგან მოქალაქეთა დაცვაში და მშრომელთა მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომის უზრუნველყოფის საქმეში მილიციის როლის შესახებ. საბჭოთა მილიციის ხალხი ხალხი ხედავს მეგობარსა და წესრიგის გუშაგს. მილიციის მოქმედება უნდა იყოს სამართლიანი და მოსახლეობის ფართო მასებისათვის გასაგები. სწორედ ამიტომაც არის, რომ დადგენილებაში დაყენებულია საკითხი მილიციის ორგანოებში სამუშაოდ მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების, მომზადებული და მცოდნე ადამიანების გაგზავნის შესახებ.

უოველივე ეს ლაპარაკობს, თუ რა [illegible]

დედაქალაქის მილიციის აქტივის კრება

სერიოზული და საპასუხისმგებლო წესრიგის დამცველთა, გაბედულ და მამაც ლეგენდარიან ადამიანთა როლი და მთავრობის ის ზრუნვა, რომლითაც გარემოცულნი არიან ეს ადამიანები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობა აღფრთოვანებულია პარტიისა და მთავრობის ზრუნვით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საქართველოს გასაბჭოების 50 წლისთავის ღირსეული მოხვედრისათვის. ამასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ამ დღეებში სამმართველოს კლუბში შედგა დედაქალაქის მილიციის აქტივის საზეიმო კრება, რომელიც გახსნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შინაგანი სამსახურის მესამე რანგის გენერალმა ვ. შადურმა. მომხსენებელმა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ქავთარაძემ დაწვრილებით გააცნო სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება და დაწვრილებით ილაპარაკა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დგას ჩვენი რესპუბლიკის მილიციის მუშაკთა წინაშე — პოლიტიკური აღზრდის ამაღლების აუცილებლობის, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და სხვ.

კამათში გამოსულმა ორატორებმა: ქ. თბილისის ოქტომბრის ნერგაანტმა დ. ლომსაძემ, დედაქალაქის მილიციის პირველი მაისის რაიგანყოფილების თანამშრომელმა, უფროსმა ლეიტენანტმა დ. კაპანაძემ, მილიციის ლენინის რაიგანყოფილების უფროსმა მილიციის მაიორმა ტ. გრიგოლაშვილმა, დედაქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა შ. ჩხატარაშვილმა და სხვებმა გამოხატეს დიდი აღფრთოვანება პარტიისა და მთავრობის დადგენილების გამო, რომელიც კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს და აღნიშნეს, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების მისუხიდ აქტივის კრებამ გაზრდილი ვალდებულებანი აკისრა.

ა. ქორაბელნიკოვა.

საბჭოთა ადამიანს კონსტიტუციამ მიანიჭა სწავლისა და დასვენების უფლება

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ საბჭოთა მოქალაქეებს მისცა სწავლისა და დასვენების უფლება. ჩვენი სურათები ასახავენ სწავლასა და დასვენებას თბილისის მილიციის სკოლაში, № 1 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ასმხასურებში. პირადი შემადგენლობის განკარგულებაშია კარგად აღჭურვილი სასწავლო ოთახები, სპორტდარბაზები, მუსიკალური კაბინეტები, ლენინის ოთახები და ბიბლიოთეკები.

სურათებზე (ზემოდან ქვემოთ): მოსწავლეებისაგან თავისუფალი საათები № 1 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილის სასპორტო დარბაზში. თბილისის მილიციის სკოლის კურსების უფროსი ბოდმოლკოვნიკი ივანე კაპანაძე საწყობრივ მეცადინეობას უტარებს კურსანტებს. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სროლაში მეცადინეობას — მესამე სურათზე მასწავლებელი, მილიციის მაიორი ვ. ნაკაშიძე კურსანტებთან ერთად მეცადინეობის დროს. გახსნილი ვ. მაიაკოვსკის სიტყვები „უნდა ისწავლო, ამხანაგო, ნაგანის სროლა. ლენინის წიგნი და ჩვენი ლექსიც". ამის წინაშე № 1 გასამხედროებულ სახანძრო ნაწილში შეიძინეს საუკეთესო ტელევიზორი. დასვენების საათებში მეხანძრეები ეკრანიდან ახალი მხატვრული ფილმების ხანახავენ.

ფოტო შ. მეგრელიშვილისა.

ოპერაცია დამთავრდა

ყოველი ადამიანი უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ რა სიკეთე მოუტანოს საზოგადოებას, ხალხს, თავის ოჯახს; როგორ წარმართოს თავისი ცხოვრების გზა. ახალგაზრდობის ფიქრისა და საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს სწავლა, მეცნიერებისა და არჩეული პროფესიის დაუფლება, შრომა და კეთილსინდისიერება. მან თავისი საქციელით არ უნდა შებღალოს ოჯახის ღირსება, არ მოუტანოს უსიამოვნება მშობლებს, თავის თავს და სხვებსაც.

ასეთი თვისებებით შემკული არ აღმოჩნდნენ ქ. თბილისის № 26 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე კომკავშირელი არკადი ბერიძე და პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე გურამ სარუხანოვი. მათ დაკარგეს ადამიანური გრძნობები და დაადგნენ დანაშაულის გზას.

ამ ორმა „რაინდმა" ერთ დღეს ბჭობა გამართა.

— ჯიბეშიობა ცოტა ძნელი და სახიფათო საქმეა. მალე წამოვეგებით ნანგალზე, — თქვა ერთმა.

— ქურდობა დავიწყოთ ბინებზე? ფიქრობ არც ეს გამოგვადგება. სად ვეძიოთ და სად გავასაღოთ ნაქურდალი ქონება? ესეც არასაიმედო ჩანს, — თქვა მეორემ.

— ნივთები რა ოხრად გვინდა. ჩვენ გვინდა ნაღდი ფული. რომელიც უნდა გავიჩინოთ ჯიბეს. უკეთესია დავიწყოთ ტაქსის მძღოლებზე ნადირობა. ეს უფრო მეტად გარანტირებულია.

— ტაქსის მძღოლს რა ექნება, მით უმეტეს თუ გარაჟიდან ახლად გამოსული შეგვხვდება?

— ამაში ნუ ჩაუჯდებით. დავაკვირდეთ წარწერას, როდის აბარებს შესვლის გარაჟში და ისე ჩავუჯდეთ.

— იარაღი?

— არც პისტოლეტი და არც დანა. თავში ჩასარტყმელი რამე, რომ არ მოკვდეს, არც წინააღმდეგობა გაგვიწიოს და არც ჩვენი სახე დაიმახსოვროს.

ასეთი სჯა-ბაასის შემდეგ დაუდგნენ „ამაღონებულ გაქცევებში" (ზაი შეუდგნენ სათანადო იარაღის ძებნას. სულ მალე მოიპოვეს სასტვირის რკინის რკინის იარაღი და მოემზადნენ საქმისთვის.

რკინით შეიარაღებული ა. ბერიძე გავიდა სახლიდან გ. სარუხანოვთან შესახვედრად. ა. ბერიძემ, რომელიც ტროლეიბუსით მიემგზავრებოდა პლეხანოვის გამზირზე, დაინახა „თანამებრძოლი" გ. სარუხანოვი დიმიტრი ელენტთან ერთად მომავალი. შეხვდნენ და მარცვლისავე გზირებაზე ჩამოვიდა, შეხვედრისას ერთმანეთს ამცნეს იმდღევანდელი „ოპერაციის" ჩატარების გეგმა. გააჩერეს თავისუფალი ტაქსი, ჩასხდნენ მანქანაში და მძღოლს უბრძანეს წაეყვანათ იგურის ქარხნისაკენ (ლენინის რაიონში), დ. ელენტიც თან გაიყოლეს.

გზაში გ. სარუხანოვმა და ა. ბერიძემ გადაიფიქრეს განზრახული სისრულეში მოყვანა. თითქოს შეიცოდეს მძღოლი, როგორც ძალზე ახალგაზრდა და თანაც შეატყვეს, რომ გარაჟიდან დიდხანს გამოსული არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ კიდევ „საქართველოსთან" ტაქსი განთავისუფლეს.

დაიწყეს ახალი ტაქსის ლოდინი. ამასობაში ა. ბერიძემ დ. ელენტს გაანდო ჩანაფიქრი. დ. ელენტმა გაიცნო რა ტაქსი, თვითონ დაჯდა მძღოლის გვერდით, ხოლო გ. სარუხანოვი და ა. ბერიძე უკან ჩასხდნენ. დ. ელენტმა გაუკვირველად გასცა წაეყვანათ თბილისის რკინიგზის სადგურისაკენ. იქიდან კი კვლავ აიღეს საბურთალოს მიმართულებით, დოლიძის ქუჩისაკენ.

დოლიძის ქუჩის დასასრულს ა. ბერიძემ და გ. სარუხანოვმა ტაქსის მძღოლს უბრძანეს შეჩერებულიყო. მანქანა გაჩერდა, სარუხანოვმა ფული გადასწორდა მძღოლ ვ. გასპარიანს, რომელიც ნახევრად შემობრუნდა და ხელი ფულის მისაღებად გაიწოდა. ბოროტმოქმედმა ა. ბერიძემ მომარჯვებული რკინა დასცხო თავში გ. გასპარიანს. ამ უკანასკნელმა იყვირა.

— რა გაუკეთებს! — უთხრა ბერიძემ და მეორედ კიდევ დაარტყა.

გასპარიანი არ დაიბნა, სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და დაიწყო ყვირილი. სამივე „რაინდი" უკან მოუხედავად გაიქცა.

შემთხვევის მხრიდან მოტოციკლით მიმავალი მილიციის მუშაკები ზურაბ ახალაძე და ზურაბ ლეჟავა შეიტყვეს მაშინვე გაემართნენ იქითკენ. საიდანაც ყვირილის ხმა მოისმოდა. გზაზე მათ შენიშნეს აჩქარებული ნაბიჯებით მომავალი სამი უცნობი პირი, ხოლო როცა მოისმინეს დაზარალებულ გ. გასპარიანის განმარტება, მაშინვე გამოეკიდნენ ბოროტმოქმედებს, რომელთაგანაც შეიპყრეს გ. სარუხანოვი. დანარჩენი ორიც კი გაიქცნენ.

გ. სარუხანოვი დაზარალებულ მძღოლ ვ. გასპარიანთან ერთად წარადგინეს მილიციაში. იმავე დღეს მოიძებნა ა. ბერიძე და მის მიერ გადაგდებული „კვერთხიც", რომელიც გამოიყენეს ძარცვის იარაღად.

რამდენიმე დღის შემდეგ ელენტიც დააკავეს. სულ მალე კი სამივე „ვაჟკაცი" წარსდგება საბჭოთა მართლმსაჯულების სამსჯავროზე.

მილიციელების ზ. ახალაძისა და ზ. ლეჟავაშვილის მიერ სწრაფად მიღებული ზომები რომ არა, ვინ იცის ახლანდელი ბოროტმოქმედნი რამდენ ხანს ითარეშებდნენ და რამდენ ადამიანს გაუწყობდნენ.

შ. ხვალაძე.
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

იურიდიული კონსულტაცია

მაქვს ავტომანქანის მართვის უფლების მოწმობა, ვარ მოყვარული მძღოლი. ვმუშაობ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ.

გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება ასეთი მოწმობით ვმართო კოლმეურნეობის მანქანა — გაზ „69" და შეიძლება თუ არა ჩემს სახელზე გამოიწეროს საგზური?

ნ. ბვერაძე.
სოფელი ორბეთი.

თანახმად არსებული წესისა ავტომობილის მოყვარულ მძღოლს უფლება აქვს მართოს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, მაგრამ უფლება არა აქვს იმუშაოს დაქირავებულ მძღოლად.

აქედან გამომდინარე თქვენ უფლება გაქვთ მართოთ თქვენი კოლმეურნეობის მანქანა — გაზ „69", რისთვისაც აუცილებელია გამოიწეროს თქვენს სახელზე საგზური ფურცელი, რითაც ბუღალტერია აწარმოებს ანგარიშს ბენზინის ხარჯვაზე და ავტომანქანის ყოველგვარი ნაწილების შეძენაზე.

ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ!

1968 წლის 18 დეკემბერს დილის 10 საათზე ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ხეხაკის ქ. № 4) გაიხსნება საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველი ყრილობა.

ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს:

18 დეკემბერს, დილის 12 საათიდან საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პრეზიდიუმის შენობაში (ჩაიკოვსკის ქ. № 4), 18 დეკემბერს, — დილის 9 საათიდან — ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

დამნაშავე ვერსად დაიმალება

—დილის 6 საათი. მილიციის ამბოლაურის რაიგანყოფილების უფროსის ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მაიორი ყურმილს დასწვდა.

— ჰრეხალის ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდა გამოჩნდა, შეტაკების დროს მძიმედ დაჭრეს მოქალაქე. მოხალისეები ახალი უბედ—მილიციის უფროსმა სიტყვის დამთავრება არ აცალა მორიგე მილიციელს, სწრაფად გაიცნო და გაუყოვნებლივ გასწია.

დაუყოვნებლივ შედგა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიაც შევიდნენ მილიციის უფროსი, მაიორი გ[illegible], უფროსი ოპერრწმუნებული, კაპიტანი გოგი ნემსაძე, უბნის რწმუნებული, კაპიტანი სერგო აბაიშვილი, სამსახურეობრივ მაგიდის უფროსი, კაპიტანი კოტე დონაძე და მძღოლ-მილიციელი, ზემდეგი ნიკო რაზმაძე.

„კოლხოზნიკი" ისარივით მიქრის დიდგორიდან...

ოპერატიული ჯგუფი გზადაგზა დაკვირვებით ათვალიერებს გარემოს, გულდასმით ამოწმებს შემხვედრ ტრანსპორტს, ცალკეულ მოქალაქეებს.

დანიშნულ ადგილამდე ორი კილომეტრი იყო დარჩენილი, როდესაც მილიციის მუშაკებმა ლიანდაგზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი სამი ახალგაზრდა შენიშნეს.

— ჩვენებურებს არ ჰგვანან, უნდა შევამოწმოთ, — გადაულაპარაკა ჯგუფის წევრებს გ. ღონაძემ.

ბრძანებისთანავე ავტომანქანა იდგა [illegible]

[illegible]

[illegible]

ვ. ჯაჯანიძე,
ამბროლაურის რაიონის მილიციის რაიგანყოფილების განყოფილების გამგე, ლეიტენანტი.

საბჭოთა კონსტიტუციამ გაფურჩქნა ხალხის ძალები

საბჭოთა კონსტიტუციამ ხალხს უფლება მისცა შრომისა, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქნისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველდღიურად იზრდება ახალგაზრდა სპორტსმენთა (მათ შორის დინამოელთა) და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

სურათებზე: (მარცხნივ) 14 წლის რუსიკო ნიჟარაძე (ბათუმი) სპორტის ოსტატია. რუსიკომ 7 წლიდან დაიწყო სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობა და შედეგებიც სახეზეა — მან მოიპოვა სსრკ გუნდურ ჩემპიონატზე ოქროს მედალი. ამ დღეებში კი ნორჩი დინამოელი წარმატებით გამოვიდა ბულგარეთში სოციალისტური ქვეყნების ამხანაგურ შეხვედრაზე. (მარჯვნივ) შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული საზოგადოების — „დინამოელთა" სახლთა და ლეგენ (მარჯვნივ) ძერჟინსკის სახ. კლუბთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების ქორეოგრაფიული ანსამბლი.

ფოტო მ. პეკელისისა და გ. წვალიაშვილისა.

ა. ლ. კვირკველია

გარდაიცვალა ქალაქ თბილისის მილიციის ლენინის რაიგანყოფილების პირველი ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი აკაკი ლავრენტის ძე კვირკველია.

ა. ლ. კვირკველია დაიბადა 1918 წელს ქ. ფოთში, მუშის ოჯახში.

ა. ლ. კვირკველია 1942 წლიდან სკკპ წევრია. დემობილიზაციის შემდეგ 1948 წლის სექტემბრიდან მუშაობას იწყებს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

1965 წლის დეკემბრიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ლენინის რაიმილიციის პირველი ქვეგანყოფილების უფროსად.

ორგანოს ღირსეული მუშაკის ა. ლ. კვირკველიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველო.

ე. ფ. მოისწრაფიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1917 წლიდან, თადარიგის მაიორი ე. ფ. მოისწრაფიშვილი.

ე. ფ. მოისწრაფიშვილი დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის (მახარაძის) მაზრის სოფელ ჩანჩეთში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ე. მოისწრაფიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში ინტერვენციისა და კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ.

1921 წლიდან იგი პარტიის ლენინური რაიკომის მიერ გაგზავნილი იქნა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამუშაოდ.

1951 წელს ე. მოისწრაფიშვილი გავიდა პენსიაზე და როგორც პარტიის ვეტერანს დაენიშნა პერსონალური პენსია. აქტიური და ენერგიული მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ამხ. ე. ფ. მოისწრაფიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის მტრებთან ბრძოლას მოახმარა.

ე. ფ. მოისწრაფიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ... [illegible]

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერკავკასიის რკინიგზის მილიციის განყოფილება.

ავამაღლოთ მუშაობის კულტურა

[illegible]

...ამ ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკაში ზედმიწევნით გამოყენება სულ ახალსა და ახალ წარმატებებს მოგვიტანს მუშაობაში.

ვ. გოგიძეიშვილი,

საქართველოს სსრ შსს მილიციის სამმართველოს გარემამხსნელი განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ქ. თბილისის მილიციის ორჯონიკიძის რაიგანყოფილების მუშაკი, მილიციის ლეიტენანტი ტ. დალაქიშვილი ყოველთვის ყურადღებიანია მოქალაქეთა მიმართ. მას ხშირად მიმართავენ სხვადასხვა საკითხებზე და იგი ყოველთვის მზადაა სათანადო პასუხი გასცეს მთხოვნელებს.

სურათზე: ტ. დალაქიშვილი უხსნის მძღოლს, თუ როგორ მივიდეს მისთვის საჭირო ქუჩაზე.

ფოტო მ. პეკელისისა.

კოზმა პრუტკოვი იცინის

ტარიელის საქმენი არასატარიელონი

ერთხელ, დასვენების წინა დღეს, საღვურ ხრესილ ცემენტით, ფილებითა და სხვა სამშენებლო მასალებით დატვირთული მაზ-ის მარკის მანქანები მოუახლოვდნენ. ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა სამტრედიის დისტანციის ქ. ქუთაისის მესამე საწარმოო უბანს საღგურში კაპიტალური შეკეთება უნდა დაეწყო.

შრომაში დღე შეუმჩნევლად გადის, ამბობს ხალხი.

ცხარე მუშაობაში შეუმჩნევლად გაიარა მესამე საწარმოო უბნის მშრომელებისათვის დღემ.

ბოლოს შრომით დღეც ამოიწურა და უბნის ხელმძღვანელები და მუშები წავიდ-წამოვიდნენ.

სამშენებლო მასალები კი, ღია ცის ქვეშ რომ დატოვეს, არავის გახსენებია...

თუმცა არც მთლად ასეა საქმე.

დასვენების დღესაც არ დატოვა სადგური უყურადღებოდ მუშამ ტარიელ ბერაშვილმა.

[illegible]

ი. ჯიძია,

„მგზ"-ის კორ.

ყოველწლიურად იზრდება მოსახლეობის ნდობა მილიციის მუშაკებისადმი. მათ შეგიძლიათ მიმართოთ ყოველთვის, ყოველგვარი გასაჭირის დროს... აი, ახლაც, მოხუცმა ქალმა ქუჩაში შეუძლოდ იგრძნო თავი და მილიციის მუშაკს მიმართა დახმარებისათვის, თხოვა მას უბილოს პოლიკლინიკამდე მიეყვანა იგი.

სურათზე: ქ. თბილისის მილიციის კიროვის რაიგანყოფილების მილიციელმა ზემდეგმა ნ. ბონდარჩუკმა დახმარება აღმოუჩინა მოქალაქეს.

ფოტო მ. პეკელისისა.

შერლოკ ჰოლმსის კლუბი

პიკის ტუზი

[illegible]

გთავაზობთ ნახოთ, მოისმინოთ

ტელევიზია

11 დეკემბერი. 19.00 — ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მხატვრული ფილმი „ქარბუქი" (გადაცემა მოსკოვიდან) 22.15 — სატელევიზიო მხატვრული დოკუმენტური ფილმი „ამხანაგო უთანხმოებო!"

12 დეკემბერი. 19.30 — საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. საქართველოსა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. 21.05 — მხატვრული ფილმი „დედააკაციების სამეფო".

13 დეკემბერი. 19.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — კინოკომედია „კირაიტი პაკალი".

14 დეკემბერი. 18.00 — საერთაშორისო შეჯიბრი ფიგურულ სრიალში (გადაცემა მოსკოვიდან). 21.35 — გადაცემა ციკლიდან „ერთი საათი მხოლოდ ჩემთვის".

15 დეკემბერი. 14.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნაზიზარი საუკუნის მატიანე" — 1929 წელი (ქართულ ენაზე). 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 21.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ბანძი".

კინო

ამ კვირას თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე შეგიძლიათ ნახოთ კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები, ახალი კინოკომედია „პორტფელიანი უშვაკი". ნაჩვენები იქნება აგრეთვე მხატვრული ფილმი, კინოსტუდია „უკრაინფილმის" ნაწარმოები „ჩვენს შვან მოსკოვია".

წინა ნომრის მე-4 გვერდის ბოლო სვეტზე, პირველი სტრიქონის მეორე სიტყვაში პირველი სამი ასო — „ლოლ" ზედმეტია.

რედაქტორი ვლ. ალფენიძე.

გაზეთი გამოდის ქართულ („მებრძოლი გუშაგი") და რუსულ („ბოევოი სტრაჟ") ენებზე ყოველ ოთხშაბათს.

თქვენი აზრი გაზეთ „მებრძოლ გუშაგში" გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე

გაზეთ „მებრძოლ გუშაგთან" არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სექცია სთხოვს გაზეთის მკითხველებს უპასუხონ შემდეგ კითხვებზე:

1. მიმდინარე წელს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან (სტატია, კორესპონდენცია, ნარკვევი, ჩანახატი და ა. შ.) რომელი მოგეწონათ?

2. როგორ გსურთ 1969 წელს რა სასიათის მასალები გინდათ გამოქვეყნდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე?

თქვენი პასუხები გთხოვთ გამოგზავნოთ 1969 წლის 5 იანვრამდე მისამართით: თბილისი 8, ერეკლე II მოედანი № 1, გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი

„ცნოსს"

ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 1968 წ.

ჩვენი მისამართი:

თბილისი — 8, ერეკლე II მოედანი № 1.

ტელეფონები: რედაქტორის — 9-91-47-82, მოადგილის — 9-91-49-58 პ/მდივნის—9-91-48-34, განყოფილებების — 9-91-48-34,